



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.  
[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ. ოზურგეთი

N 14  
13/02/2017

14-03-4-201702131747



განკარგულება №14  
13 თებერვალი 2017 წელი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა  
კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის გეგმის დამტკიცების თაობაზე

*საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს  
24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ადგილობრივი  
თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული  
უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და  
წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის N319  
დადგენილების თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1.** დამტკიცებულ იქნას, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის  
მიერ წარმოდგენილი „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს

აპარატის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის გეგმა“ წინამდებარე განკარგულების დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის) .

**მუხლი 2.** განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა